

# საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში

ანგარიში მომზადებულია კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის მიერ

ეს ანგარიში დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ *სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის* პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფი და შესაძლებელია შეხედულებები არ ემთხვეოდეს USAID-ის, ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.



## შესავალი

საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სამართლებრივი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი, 2004 წლიდან ამოქმედდა. რეფორმის მიზანი იყო გამეფებულ მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლა და ორგანიზებული დანაშაულის დამარცხება. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყანაში არსებულ სისხლის სამართალწარმოებაში. დღეის მდგომარეობით სისხლის სამართლის საქმეების უმეტესი ნაწილი სწორედ საპროცესო შეთანხმებით სრულდება.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა სწორედ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენებასთან დაკავშირებით. ანგარიში ძირითადად მოიცავს საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკის ანალიზს, რომელიც მომზადებულია კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ფარგლებში შექმნილი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების მიერ. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ 2011 წლის 29 აპრილს ჩამოყალიბდა და ის 32 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის მიზანია, ხელი შეუწყოს სასამართლოს მიმდინარე რეფორმების მონიტორინგსა და დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის ადვოკატურების პროცესში პროფესიული იურიდიული ასოციაციების, იურიდიული უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული და ბიზნეს ასოციაციების გაერთიანებას. კოალიცია შექმნილია შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან (EWMI) თანამშრომლობით.

კოალიციის ფარგლებში შექმნილი სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის წევრები არიან შემდეგი ორგანიზაციები: კონსტიტუციის 42-ე მუხლი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა ცენტრი, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი.

სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფი მოწოდებულია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არსებული აქტუალური საკითხების შესწავლის, ამ პროცესებში სასამართლოს როლის გაანალიზებისა და მისი გაძლიერებისათვის შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები. ამ მიზნით სამუშაო ჯგუფმა ამ ეტაპამდე უკვე მოამზადა რამდენიმე კვლევა და რეკომენდაციების კრებული. ასევე, სამუშაო ჯგუფმა წინამდებარე ანალიზი დაუთმო ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს - საპროცესო შეთანხმების გამოყენების საკითხების შესწავლას. აღნიშნული საკითხის შესწავლისას ძირითადი ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკის ანალიზზე, კერძოდ, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საპროცესო შეთანხმების გამოყენების თავისებურებები საქართველოში, ზოგადი სტატისტიკა, სასამართლოს როლის შეფასება საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და ა.შ.

დოკუმენტზე მომუშვე ჯგუფი მადლობას უხდის ყველა პირს, ვინც მონაწილეობა მიიღო კვლევის განხორციელებაში და ანგარიშის მომზადებაში.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით: პირველ რიგში გაანალიზდა სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო შეთანხმების გამოყენების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის ძველი და ახალი ნორმები.

ვინაიდან კვლევის ძირითად აქცენტი პრაქტიკული ნაწილის ანალიზზე კეთდებოდა, სამუშაო ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების განაჩენების შესწავლას. საქართველოში 2012 წელს 7 897 საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. განაჩენთა შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფმა გამოითხოვა 2012 წლის იანვრისა და დეკემბრის თვეების პირველი 50-50 განაჩენი, ასევე, ამავე პერიოდში არასრულწლოვან ბრალდებულებთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმებები (33 საპროცესო შეთანხმება), ჯამში - 133 განაჩენი, რომელთაგანაც ნაწილი გამოტანილია ქალაქ თბილისში, ხოლო ნაწილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არასრულწლოვან ბრალდებულებთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების 33 განაჩენი გამოტანილია ქალაქ თბილისში.

განაჩენთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ხარვეზები და შემუშავდა რეკომენდაციები, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ ნაწილთან დაკავშირებით. კვლევის განხორციელების მიზნით კითხვარები დაეგზავნა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს, მთავარ პროკურატურას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოს იუსტიციის სექტორის განვითარების პროგრამის რეზიდენტს/მრჩეველს. გამოკითხვის შედეგები ასევე აისახა კვლევაშიც.

წინამდებარე კვლევა შედგება სამი ძირითადი თავისაგან. პირველი თავი ეხება საპროცესო შეთანხმების გაფორმების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის ზოგად მიმოხილვას, მეორე თავი მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას, მესამე თავში კი გაერთიანებულია განაჩენთა შინაარსობრივი ანალიზის შედეგები, რომელშიც გამოკვეთილია სამართალწარმოებაში არსებული პრობლემები. კვლევაში ასევე წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

## 1. საკანონმდებლო სივრცის ზოგადი მიმოხილვა

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის საქართველოში ამოქმედების ერთ-ერთი მიზეზი იყო არსებული რთული კრიმინოგენული ვითარების დაძლევა. ბრალდებულთან თანამშრომლობით სამართალდამცავ ორგანოებს საშუალება მიეცათ, ეფექტურად ებრძოლათ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. ამ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების მოთხოვნა მხოლოდ პროკურორს შეეძლო.

საპროცესო შეთანხმების რეფორმის დასაწყისშივე, მხასრეებს შორის შეთანხმებას ბრალსა და სასჯელზე განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა. სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულის ჩადენას, თუმცა ეკისრებოდა გამოძიებასთან თანამშრომლობის ვალდებულება (სსსკ 679<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილი 24. 06. 2004 რედაქცია). ბრალზე შეთანხმების დროს „ბრალზე გარიგებისას ბრალდებული აღიარებდა დანაშაულს ან/და თანამშრომლობდა გამოძიებასთან“ (სსსკ 679<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილი 24. 06. 2004 რედაქცია). დანაშაულის აღიარება არ იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმების აუცილებელი წინაპირობა. დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნის უფლება აქვს, როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომასა ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. ბრალზე შეთანხმებისას კი ბრალდებული დანაშაულს აღიარებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით 2012 წელს საპროცესო შეთანხმებით გამოტანილი განაჩენების რაოდენობა შეადგენს 7897-ს.<sup>1</sup> ამასთან, ეს საქმეთა საერთო რაოდენობის 87,8%-ა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/5-sapr12.pdf>

საპროცესო შეთანხმების პრობლემური მხარეების განხილვამდე კვლევაში მოკლედაა წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცედურები.

### 1.1 საპროცესო შეთანხმების დადების პროცედურების მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება გულისხმობს განაჩენის გამოტანას საქმის არსებითი განხილვის გარეშე, როდესაც მიღწეულია შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე.

კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია, როგორც ბრალდებულს (მსჯავრდებულს), ისე პროკურორს. გარდა ამისა, საქმის განხილვისას სასამართლოსაც აქვს უფლებამოსილება, მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება.

თუ დაიდო საპროცესო შეთანხმება, პროკურორს უფლება აქვს, იშუამდგომლოს სასჯელის შემცირების, ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე, რა დროსაც მან უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, სასჯელის სიმძიმე, აგრეთვე ისიც, თუ რამდენად საშიში ქმედება იყო ჩადენილი და რა როლი ითამაშა ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენაში. საპროცესო შეთანხმების დადებისას უნდა არსებობდეს ზემდგომი პროკურორის და ბრალდებულის წინასწარი თანხმობა და ამ პროცესში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ადვოკატი. პროკურორმა უნდა გააფრთხილოს პირი, რომ იგი არ თავისუფლდება სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

ბრალდებულს (მსჯავრდებულს) ეკისრება დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მთავარ პროკურორს აქვს უფლება, იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე ამგვარი პასუხისმგებლობისაგან მისი გათავისუფლების შესახებ, რის შემდეგაც პასუხისმგებლობა უკვე სახელმწიფოზე გადადის. თუ ბრალდებულმა ითანამშრომლა საგამოძიებო ორგანოებთან, რის შედეგადაც გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და შეიქმნა დანაშაულის გახსნის წინაპირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს შეუძლია, იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე ბრალდებულის სასჯელისგან სრულად გათავისუფლების შესახებ. სასჯელისგან სრულად გათავისუფლება არ დაიშვება მხოლოდ ჯარიმის ან თანხის გადახდის სანაცვლოდ.

საპროცესო შეთანხმების საქმეში სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს პროკურორი საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. შუამდგომლობაში მთლიანად არის ფორმულირებული ბრალდება, ანუ ის, თუ რაში ედება პირს ბრალი (სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი), რა ვითარებაში ჩაიდინა, რა დროს, რა შედეგები გამოიწვია ამ ქმედებამ, შესაბამისი მტკიცებულებანი, სასჯელის რა ზომას ითხოვს პროკურატურა და სხვა. საპროცესო შეთანხმება არ უნდა იყოს დადებული იძულების, დაშინების ან ისეთი დაპირების შედეგად, რაც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს.

სასამართლო (მოსამართლე) არ არის ვალდებული, უპირობოდ და მსჯელობის გარეშე გაიზიაროს და დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება. მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კანონის საფუძველზე. სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის, საქმის პროკურორისთვის უკან დაბრუნების ან კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განხილვის თაობაზე.

---

<sup>2</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/6-saproc12.pdf>

გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, კანონიერია თუ არა მოთხოვნილი სასჯელი, არსებობს თუ არა საქმეში უტყუარი მტკიცებულებანი ბრალის დასადასტურებლად. სასამართლოს უფლება აქვს, შესთავაზოს მხარეებს, შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც ზემდგომ პროკურორთან უნდა იყოს შეთანხმებული. ბრალდებულს აქვს უფლება, განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე.

არსებითი განხილვის გარეშე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, თუ მნიშვნელოვნად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საპროცესო შეთანხმების დადებისთვის დადგენილი წესები (სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

## **2. საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები**

### **2.1 პროკურორის დისკრეცია**

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორს განსაკუთრებული უფლებამოსილება ენიჭება. მას შეუძლია, დაცვის მხარეს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება და შეთანხმდეს ბრალზე ან სასჯელის ზომაზე. კანონმდებლობით არ არის დადგენილი, კონკრეტულად რა სახის დანაშაულზეა შესაძლებელი საპროცესო შეთანხმების დადება. და პირიქით, არ არის გაწერილი დანაშაულის ის სახეები, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც ბრალდებულთან არ დაიდება საპროცესო შეთანხმება. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად საპროცესო შეთანხმების არსებობისას დაუშვებელია მსჯავრდებულის სრულად გათავისუფლება სასჯელისგან, სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლით (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე. ასევე, კანონით არ არის გათვალისწინებული სასჯელის ზომა, კერძოდ, რა შეიძლება იყოს კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში სასჯელის მინიმუმი ან მაქსიმუმი ზომა, როდესაც მხარეებს შორის იდება საპროცესო შეთანხმება. სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად:

„სასამართლოს შეუძლია, დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება“.

აქედან გამომდინარე, სასჯელის ზომის შეთავაზებისას პროკურორს ენიჭება ფართო დისკრეცია. ხოლო მოსამართლეს, იმის გათვალისწინებით, რომ არა აქვს უფლება, ჩაერიოს მოლაპარაკების პროცესში და შეცვალოს შეთანხმების პირობები, შეუძლია, მხოლოდ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება ან უარი თქვას მის დამტკიცებაზე.

კვლევის განხორციელების პროცესში გამოკითხულმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ არის ნებაყოფლობითი.

**ხშირად დაცვის მხარეს აშკარად კაბალურ პირობებზე უწევს დათანხმება, ვინაიდან სასამართლოს არ გააჩნია სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენების უფლება და, ასევე, შეზღუდულია პირობითი მსჯავრის გამოყენებისას.<sup>3</sup>**

### **2.2 ბრალდებულის უფლებები**

<sup>3</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, (გამოკითხვა), მაისი, 2013 წ. თბილისი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმება ფორმდება წერილობით.<sup>4</sup> 209-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლიათ, როგორც ბრალდებულს, ასევე პროკურორს. ეს ნორმა არაფერს ამბობს შეთავაზების ფორმაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ პროკურორს შეუძლია, ბრალდებულს სიტყვიერადაც შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება. ამ შემთხვევაში ბრალდებული არ არის დაცული იმისაგან, რომ შეთანხმების პირობები იქნება ის, რასაც მას ბრალდება წინასწარი შეთანხმებისას დაჰპირდა.

მართალია, მოტყუება არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ უცნობია, როგორ უნდა ამტკიცოს ბრალდებულმა მოტყუების ფაქტი. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული როლი ბრალდებულის ადვოკატს ეკისრება. ის ვალდებულია, უზრუნველყოს ბრალდებულის დაცვა, მისი სრული ინფორმირება და იმოქმედოს ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა მოქმედი კანონმდებლობა ვერ ქმნის მყარ გარანტიებს იმისათვის, რომ დაცვის მხარემ შეძლოს ბრალდებულის ინტერესების ეფექტიანი დაცვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას.

მტკიცების პრობლემა წამოიჭრება არა მხოლოდ ზემდგომ ინსტანციაში არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილ განაჩენზე საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, არამედ ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას. სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ბრალდებული აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების პირობებს და მის სამართლებრივ შედეგებს. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმას, თუ რა საშუალება უნდა გამოიყენოს მოსამართლემ ბრალდებულის ნამდვილი ნების დასადგენად. პრაქტიკაში 212-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას მოსამართლე ასრულებს იმით, რომ ბრალდებულს შეიძლება გამოუცხადოს სასჯელის ზომა, რაც მას შეიძლება დაეკისროს და მოსამართლემ შეიძლება სცადოს ბრალდებულთან იმის გარკვევა, სურს თუ არა მას აღნიშნული სასჯელის მოხდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ბრალდებულისათვის ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ის სიმართლეს გაიგებს მის მიმართ გამოსაყენებელი რეალური სასჯელის შესახებ, იმის გამო, რომ საპროცესო შეთანხმების შეთავაზებისას პროკურორმა მოატყუა, ან მას არ აღმოუჩინეს ადეკვატური იურიდიული დახმარება, უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრების შიშით მან, შესაძლოა, განაცხადოს, რომ აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების პირობებს. ბრალდებულის ეს პასუხი ფაქტობრივად საკმარისი პირობაა იმისათვის, რომ მოსამართლემ 212-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაკისრებული ვალდებულება შესრულებულად მიიჩნიოს. ბრალდებულის სიტყვიერი განმარტების გარდა მას სხვა არანაირი საშუალება არ გააჩნია იმ ალბათობის გასაბათილებლად, რომ სასამართლოში წარდგენილი საპროცესო შეთანხმება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ბრალდებულის ნამდვილ ნებას, იმის გამო, რომ ის პროკურორმა მოატყუა, ან ვერ ისარგებლა სათანადო დაცვის უფლებით. პროკურორის ტყუილს ან არასათანადო საადვოკატო საქმიანობას ნათელი მოეფინებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს გარკვეული წარმოდგენა ექნებოდა საპროცესო შეთანხმების შეთავაზებასა და საპროცესო შეთანხმების მოლაპარაკებაზე. როდესაც შეთავაზებისა და მოლაპარაკებების დინამიკა არ მიდის სასამართლოში წარდგენილი საპროცესო შეთანხმების ტექსტის შინაარსთან, წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ საპროცესო შეთანხმება არ შეესაბამება ბრალდებულის ნებას, ბრალდებული მოატყუეს და ტყუილი ვერ იქნა აღმოფხვრილი დამცველის საქმიანობით. თუკი მოლაპარაკების მიმდინარეობა და შედეგი აცდენილია საპროცესო შეთანხმების ტექსტის საბოლოო შინაარსს, მოსამართლემ უნდა გაარკვიოს, რა არის ამ შეუსაბამობის მიზეზი.

პროკურორის მიერ ბრალდებულის მოტყუების შემთხვევა არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი თავისებურება. ეს საკითხი წარმოადგენდა ამერიკის უზენაესი სასამართლოს

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ. 9 ოქტომბერი



განსჯის საგანს 2011 წელს მიღებულ უახლეს გადაწყვეტილებაში *მისური ფრის წინააღმდეგ*.<sup>5</sup> მოსამართლე კენედიმ, რომელმაც დაწერა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობის აზრი, განაცხადა, რომ პროკურორმა და პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა განახორციელონ განსაზღვრული მოქმედებები, რაც დაეხმარება ბრალდებულს მისთვის ნაკლებად ხელსაყრელი საპროცესო შეთანხმების თავიდან აცილებაში. ამ მიზნის მისაღწევად: პირველი, ფორმალური შეთავაზების ფაქტი ნიშნავს იმას, რომ საპროცესო შეთანხმების პირობები და პროცესი დოკუმენტირებული უნდა იყოს. საპროცესო შეთანხმების დასადებად შეთავაზების და მოლაპარაკების დოკუმენტირება ემსახურება იმას, რომ მოგვიანებით სასამართლოსათვის ნათელი იყოს ის მოქმედებები, რაც წინ უძღოდა საპროცესო შეთანხმების დადებას. მეორე, ყველა შეთავაზების წერილობითი გაფორმება უზრუნველყოფს შემდგომი გაუგებრობებისა და სიყალბის თავიდან აცილებას. მესამე, საპროცესო შეთანხმების მოლაპარაკების პროცესი, შესაძლოა, აისახოს შესაბამის ოქმში ისეთი საგამომიებო მოქმედების წარმოებისას, რომელსაც ადგილი აქვს საქმის სასამართლოში განხილვამდე. შეთავაზების დოკუმენტირება უზრუნველყოფს იმას, რომ ბრალდებული სრულად იყოს ინფორმირებული ბრალთან დაკავშირებით, სანამ საქმე სასამართლოში წარიმართება. საქმის სასამართლოში განხილვამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს: პირველი, შეთავაზება საპროცესო შეთანხმების დადებაზე, მეორე, ბრალდებულისთვის განმარტება მისთვის გასაგები ტერმინებით საპროცესო შეთანხმების მნიშვნელობის შესახებ და ბრალდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რომ პასუხი გასცეს საპროცესო შეთანხმების შეთავაზებაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე ბრალდებული სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს საპროცესო შეთანხმების შინაარსს. საპროცესო შეთანხმების დადებამდე ბრალდებულმა უნდა მიიღოს იურიდიული კონსულტაცია. იმ პირობებში, როდესაც კანონი არ ადგენს, წერილობით ფორმას არც საპროცესო შეთანხმების შეთავაზებისა და არც საპროცესო შეთანხმების პირობების განსაზღვრისათვის, პროკურორსა და ბრალდებულს შორის დგება მოლაპარაკების ოქმი. გაუგებარია, როგორ შეიძლება ბრალდებული ან თუნდაც მისი ადვოკატი სრულყოფილად აღიქვამდეს საპროცესო შეთანხმების შინაარსს. მას შემდეგ, რაც პროკურორი მოიპოვებს ადვოკატისა და ბრალდებულის ხელმოწერილ თანხმობას თანამშრომლობაზე, სსსკ-ის 211-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხოლოდ ამის შემდეგ დგება შუამდგომლობა, სადაც საპროცესო შეთანხმება წერილობით აისახება. აღნიშნულ შუამდგომლობას პროკურორთან ერთად ხელს აწერენ ადვოკატი და ბრალდებული. საპროცესო კოდექსი არ აძლევს შესაძლებლობას ბრალდებულსა და ადვოკატს, დამატებით გაიარონ კონსულტაცია პროკურორის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობის ტექსტთან დაკავშირებით. თუკი შუამდგომლობის ტექსტი ეწინააღმდეგება ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკებისას მიღწეულ სიტყვიერ შეთანხმებას, ადვოკატი, რა თქმა უნდა, ვალდებულია, აცნობოს ბრალდებულს ამის შესახებ,

მოსამართლე კენედი აცხადებს, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ წერილობითი შეთავაზების და მოლაპარაკების ოქმის შედგენის შემდეგ ადვოკატს უნდა მიეცეს დრო, რომ ამ დოკუმენტებში ასახული პირობები განუმარტოს ბრალდებულს. თუკი ბრალდებული დადგენილ ვადაში ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით ვერ მიიღებს კონსულტაციას, იგულისხმება, რომ ბრალდებულს არ უსარგებლია ეფექტური დაცვის უფლებით.

გაუგებრობებისა და ბრალდებულის მოტყუების თავიდან ასაცილებლად კანონმა უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულსა და ბრალდების მხარეს შორის წერილობითი კომუნიკაციის სავალდებულო ფორმის არსებობა საპროცესო შეთანხმების შეთავაზების საწყისი ეტაპიდან. თუკი შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ წინააღმდეგობაში მოდის მოლაპარაკების ოქმთან, ბრალდებულის მოტყუების არარსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურორს.

<sup>5</sup> [http://www.law.cornell.edu/supremecourt/text/10-444#writing-10-444\\_OPINION\\_3](http://www.law.cornell.edu/supremecourt/text/10-444#writing-10-444_OPINION_3)

## 2.3 მოსამართლის როლი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის ერთ-ერთი წარმომადგენლის მოსაზრებით, გარდა იმისა, რომ არსებობს სხვა ხარვეზებიც, საქართველოს კანონმდებლობა სრულად არ არეგულირებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მუშაობას. მისი მოსაზრებით, სასამართლოს უნდა ჰქონდეს საპროცესო შეთანხმების ცვლილებებით დამტკიცების შესაძლებლობა, თუკი მიიჩნევს, რომ სასჯელი უსამართლოა.<sup>6</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, მოსამართლის როლი საპროცესო შეთანხმების დადებისას შეზღუდულია. მოსამართლე არ მონაწილეობს მოლაპარაკების პროცესში და არა აქვს უფლება, პროკურორის მიერ შეთავაზებული სასჯელის გარდა სხვა სახის სასჯელი შეუფარდოს ბრალდებულს. თუმცა სასამართლოს შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს შეთანხმების განსხვავებული პირობები, თუკი მიიჩნევს, რომ განსახილველი პირობები არ შეესაბამება მართლმსაჯულების ინტერესებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსამართლე შეზღუდულია პროკურორის ფართო დისკრეციით და მხოლოდ ბოლო ეტაპზე, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის შედეგად 213-ე მუხლის მიხედვით იღებს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთს:

ა) სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის,

ბ) საქმის პროკურორისთვის დაბრუნების, ან

გ) კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განხილვის თაობაზე.

არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლო ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სასამართლო წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნევს წაყენებულ ბრალდებას და, ასევე, კანონიერად და სამართლიანად მიაჩნია შუამდგომლობაში დაფიქსირებული შეთანხმების პირობები.

რაც შეეხება სასამართლოს წინაშე არსებულ დანარჩენ ორ ალტერნატივას - საქმის პროკურორისათვის დაბრუნებას ან საქმის არსებითი განხილვის თაობაზე გადაწყვეტილებას, მათი რეალური შინაარსი და დანიშნულება საკმაოდ ბუნდოვანია. კანონმდებლობა საკმარისი სიცხადითა და დეტალურობით არ განმარტავს აღნიშნული მექანიზმების გამოყენების პირობებს, მათ შორის, ბუნდოვანია საკითხი, შეიძლება თუ არა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღება მოხდეს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე (იგულისხმება პირველი წარდგენის სხდომა, წინასასამართლო სხდომა და არსებითი განხილვა).

აღნიშნული მექანიზმების მიმართ არსებული კითხვები უკავშირდება მათ პრაქტიკულ დანიშნულებასა და მიზანშეწონილობას. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ორი ალტერნატიული გადაწყვეტილება, როდესაც სასამართლო არ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, შეიძლება მიღებულ იქნეს ერთმანეთისაგან განსხვავებულ პირობებში, მათ შორის, როცა:

1. სასამართლო ჩათვლის, რომ წარმოდგენილი არ არის საკმარისი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა ბრალის დასადასტურებლად;

ან/და

2. მიუხედავად იმისა, რომ ბრალი დადასტურებულია, სასამართლოსთვის მიუღებელია (უკანონო ან უსამართლოა) შემოთავაზებული სასჯელის ზომა.

<sup>6</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, (გამოკითხვა) მაისი, 2013 წ. თბილისი



იმისათვის, რომ გააზრებულ იქნეს შედეგობრივი განსხვავება ამ პირობების არსებობის შემთხვევაში, საჭიროა მათი განხილვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

პირველ შემთხვევაში, როცა სასამართლო მოქმედებს ბრალის დადასტურების არარსებობის პირობებში, პროკურორისთვის საქმის უკან დაბრუნება ემსგავსება ერთგვარ დამატებით შანსს, იმისათვის, რომ ბრალდებას ხელმეორედ მიეცეს ბრალდების წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა კანონმდებლობა არ უთითებს, პროკურორისთვის საქმის უკან დაბრუნების შემდეგ ხდება თუ არა დამატებითი მტკიცებულებებისა და ახალი შუამდგომლობის წარდგენა პროკურატურის მხრიდან საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით, თუ საქმე გრძელდება არსებითი განხილვისთვის დადგენილი დებულებების შესაბამისად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საპროცესო შეთანხმების მოთხოვნა და, შესაბამისად, შუამდგომლობის განხილვა შეიძლება მოხდეს სასამართლოში საქმის განხილვის ყველა ეტაპზე. თუკი საპროცესო შეთანხმების თაობაზე შუამდგომლობის განხილვა სასამართლოში ხდება წინასასამართლო სხდომაზე, მაშინ გასათვალისწინებელია, რომ მხარეებს შორის მტკიცებულებები უკვე გაცვლილია, შესაბამისად, როგორც დაცვა, ისე ბრალდება შებოჭილია მათ მიერ მეორე მხარისთვის გადაცემული და სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებებით. ამ ეტაპზე სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარი და საქმის პროკურორისთვის დაბრუნება არალოგიკურია, ვინაიდან ბრალდება ვეღარ შეძლებს საქმეში მტკიცებულებების დამატებას (კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა). ამასთან, საქმის არსებითი განხილვის გადაწყვეტილების მიღებაც არალოგიკურია, ვინაიდან სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ბრალდება ვერ მტკიცდება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამისად. ამიტომაც საგულისხმოა, რომ, თუკი სასამართლო ამ ეტაპზე არ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას მტკიცებულებების არარსებობის მოტივით, მან საკუთარი განჩინებით უნდა შეწყვიტოს დევნა პირის მიმართ. თუმცა ვითარება განსხვავებულია, როცა სასამართლოს უარი სასჯელის ნაწილს უკავშირდება.

ვითარება ასევე ბუნდოვანია, როდესაც სასამართლო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარს ამბობს საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მტკიცებულებების არასაკმარისობის მოტივით. ზემოხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით, ამ ეტაპზეც არალოგიკურია საქმის პროკურორისთვის უკან დაბრუნება იმ მიზნით, რომ მან დამატებითი მტკიცებულებები წარმოადგინოს, ვინაიდან ბრალდება შებოჭილია მის მიერ მეორე მხარისთვის გადაცემული მტკიცებულებებით. ამ ეტაპზეც, თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობაში მითითებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი ბრალის დასადასტურებლად და საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად, მან უარი უნდა თქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოიტანოს.

დღეს მოქმედი საპროცესო ნორმები ნათლად არ არეგულირებს ზემოთ განხილულ შემთხვევებს, პირველ რიგში კი არ ადგენს, რა ეტაპზე შეიძლება მიიღოს სასამართლო საქმის უკან დაბრუნების ან არსებითად საქმის განხილვის გადაწყვეტილება. სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-5 ნაწილში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც „თუ წინასასამართლო სხდომის ჩატარებამდე იხილება შუამდგომლობა... და სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი... იგი საქმეს უბრუნებს პროკურორს“. მიუხედავად ასეთი ნორმის არსებობისა, საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების ერთობლივი ანალიზი ცალსახად არ სცემს პასუხს კითხვას, არის თუ არა შესაძლებელი საქმის უკან დაბრუნების მექანიზმის გამოყენება წინასასამართლო სხდომაზე ან მის შემდგომ, თუ ეს მექანიზმი მოქმედებს მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე. ეს საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანია საქმის არსებითად განხილვის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. საპროცესო კოდექსი ამ თემაზე არანაირ კონკრეტულს არ შეიცავს.

გამომდინარე აქედან, უნდა ითქვას, რომ სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილებათა რეალური შინაარსი და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა საკმაოდ ბუნდოვანია. საპროცესო კოდექსს ესაჭიროება დამატებითი ცვლილებები იმისათვის, რომ პროცესმა უფრო მეტი სიცხადე შეიძინოს.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებით სასამართლოს როლი საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას დაბალია, რაც, მათი აზრით, კანონმდებლობის პრობლემაა.<sup>7</sup> კანონმდებლობით, სასამართლო სამართლიანობის თვალსაზრისით შეთანხმებას ამოწმებს, მაგრამ ცვლილების შეტანა არ შეუძლია. მხოლოდ დამტკიცებაზე უარს კი, შესაძლოა, მოჰყვეს ბრალდებულის მდგომარეობის გაუარესება, თუ მასთან შეთანხმება არ ფორმდება ახალი პირობებით.

#### 2.1.4. დაზარალებულის უფლებები

დაზარალებულს პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმების დადებისას ფაქტობრივად უფლებები არ გააჩნია.

კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ დაზარალებულს არა აქვს უფლება, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. თუმცა, ამასთანავე, ამავე მუხლის მიხედვით საპროცესო შეთანხმების დადებამდე პროკურორი ვალდებულია, ჩაუტაროს კონსულტაცია დაზარალებულს და შეატყობინოს მას, რომ იდება საპროცესო შეთანხმება.

აღნიშნული დებულება ძალიან ბუნდოვანია, რადგან არ არის დაკონკრეტებული, რა მიზნით უნდა ჩაუტაროს პროკურორმა კონსულტაცია დაზარალებულს და რა შედეგი მოჰყვება ამას. ასევე, კოდექსით არ არის გათვალისწინებული დაზარალებულის საპროცესო განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამდენად, დაზარალებულის როლი ძალიან შევიწროებულია და მას რეალური ბერკეტები არ გააჩნია. ასეთ პირობებში დაზარალებულის და, ზოგადად, საჯარო ინტერესის დამცველად საპროკურორო დისკრეციის გონივრული გამოყენება უნდა იქნეს განხილული.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებით, დაზარალებულის უფლება მხოლოდ კონსულტაციით შემოიფარგლება და კარგი იქნება, საპროცესო შეთანხმების ოქმში აისახოს შემდგომში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. სასამართლო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ დაზარალებულის უფლებები მეტად უნდა იყოს დაცული და მისი პოზიციის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს შეთანხმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მოსაზრებით, დღეს მოქმედი კანონმდებლობა დაზარალებულისთვის კონსულტაციის გაწევით და მისი საპროცესო შეთანხმების თაობაზე ინფორმირებით შემოიფარგლება. საზოგადოებაში ამ ინსტიტუტისადმი ნდობის ასამაღლებლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მიიჩნევს, რომ, სასურველია, დაინერგოს აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები და დაზარალებული უფრო მეტი აქტივობით იყოს ჩართული საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესში.

ჯგუფის შეფასებით, შესაძლოა, სისხლის სამართლის რიგ დანაშაულებზე ერთ-ერთი პირობა იყოს დაზარალებულთან კონსულტაცია, რაც შექმნის დაზარალებულის უფლებების დაცვის მეტ გარანტიას.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე<sup>8</sup> ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოს იუსტიციის სექტორის განვითარების პროგრამის რეზიდენტ/მრჩეველი ჯერედ კამბოლი აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების თვალსაზრისით კანონმდებლობაში არსებოს პრობლემები, თუმცა ამ ინსტიტუტის გამოყენების

<sup>7</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, (გამოკითხვა), მაისი, 2013 წ. თბილისი

<sup>8</sup> ინტერვიუ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოს იუსტიციის სექტორის განვითარების პროგრამის რეზიდენტ/მრჩეველ ჯერედ კამბოლთან;


პრობლემა უფრო პრაქტიკაშია. ჯერედ კამბოლის მოსაზრებით, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას ჯარიმის გამოყენება ყველა შემთხვევაში არ შეიძლება და, გარდა ამისა, ჯარიმის თანხა უნდა იყოს იმდენი, რომ ოჯახს ტვირთად არ დააწვეს. საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემებიდან ამერიკის საელჩომ სამ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გამოყო:

1. საპროცესო შეთანხმების მექანიზმის ნებაყოფლობითობის საკითხი;
2. ჯარიმების ოდენობის საკითხი;
3. მოსამართლის როლის საკითხი.

### 3. სტატისტიკური ინფორმაცია შესწავლილი განაჩენების შესახებ


სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი განაჩენებიდან გამოიკვეთა გარკვეული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ზოგად სურათს ქმნის საპროცესო შეთანხმების გამოყენების ისეთ ცალკეულ დეტალებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, დანაშაულთა კატეგორია, რომელთა მიმართაც გამოიყენება საპროცესო შეთანხმება და დამატებითი სასჯელები, მათ შორის, ჯარიმები და ჯარიმის ოდენობები საპროცესო შეთანხმებებში.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ჯგუფმა სულ შეისწავლა 2012 წლის 100 განაჩენი, საიდანაც 50 განაჩენი გამოტანილი იყო 2012 წლის იანვარში, 50 კი – დეკემბერში. ასევე შესწავლილ იქნა არასრულწლოვანთა მიმართ გაფორმებული საპროცესო შეთანხმებით დამთავრებული 33



განაჩენი, რომელთა შესახებ ინფორმაცია ცალკე თავშია მოცემული. სულ შესწავლილ იქნა 133 განაჩენი.

საერთო ჯამში, შესწავლილ განაჩენებში დაფიქსირებული დანაშაულებათა სახეობების მაჩვენებელი ასეთია:




#### 4. ჯარიმა დამატებითი სასჯელის სახით

კვლევის პროცესში შესწავლილი 100 განაჩენიდან (სრულწლოვანი ბრალდებულები) მხოლოდ 38 საპროცესო შეთანხმება გაფორმდა დამატებითი სასჯელის - ჯარიმის დაკისრების გარეშე. ეს საპროცესო შეთანხმებები არანაირ დამატებით პირობებს არ ითვალისწინებს, გარდა კანონით გათვალისწინებული იმ პროცედურებისა, რომლებიც ევალება პირს, რომელსაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა პირობითი მსჯავრით. აღნიშნული 38 განაჩენი მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულმა საქალაქო (რაიონულმა) სასამართლოებმა. განაჩენები მოგვაწოდა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და, როგორც კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, გამოთხოვილ იქნა 2012 წლის პირველი და ბოლო თვეების პირველი 50-50 განაჩენი სრულწლოვან ბრალდებულთა საქმეებზე.

დანარჩენი 62 საპროცესო შეთანხმება გაფორმებულია დამატებითი სასჯელის სახით, ჯარიმის დაკისრებით. შესწავლილი განაჩენებიდან, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო მაქსიმალური ოდენობა 100 000 (ასი ათასი) ლარი.

## დაკისრებული ჯარიმის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები ლარში



### 5. განაჩენთა ანალიზის შედეგად გამოკვეთილი შედეგები

#### 5.1. სასამართლოს როლი შეთანხმების დადებისას

საპროცესო შეთანხმება გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას. საპროცესო შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ პროკურორი და ბრალდებული. აღნიშნულ შეთანხმებაში პროკურორის ინტერესს წარმოადგენს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება, ხოლო ბრალდებულის ინტერესს - თავიდან აიცილოს საქმის არსებითი განხილვის შედეგად შესაძლო მკაცრი სასჯელი. საპროცესო შეთანხმების დადებისას დაცულ უნდა იქნეს ნებაყოფლობითობის, მხარეთა თანასწორობის, ბრალდებულის კანონიერი ინტერესების უპირატესი დაცვის პრინციპები, რაც პრაქტიკაში დაცული არ არის.

აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის მოსაზრებით, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ არის ნებაყოფლობითი, რადგან ხშირად დაცვის მხარეს აშკარად კაბალურ პირობებზე უწევს დათანხმება.

ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი წარმომადგენლის პოზიციით, საპროცესო შეთანხმება თავისი არსით არის ნებაყოფლობითი ინსტიტუტი, რაც პირდაპირ კავშირშია მხარის, კერძოდ, ბრალდებულის ნებასა და არჩევანთან.<sup>9</sup> თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიესალმება სამოსამართლო დისკრეციის გაზრდას. მისი მოსაზრებით, მოსამართლის როლის გაფართოება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასჯელის დანიშვნის ნაწილში მნიშვნელოვანია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრი საპროცესო შეთანხმების დადებისას მოსამართლის როლს უარყოფითად აფასებს და აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს მოსამართლე ფაქტობრივად ნოტარიუსის როლში იმყოფება. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ შეცვალოს სასჯელის ზომა.<sup>10</sup>

საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ბრალდებულის ნების გათვალისწინებით და რომ იგი სრულად აცნობიერებს შეთანხმების არსს და მის შესაძლო შედეგებს. ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. შესაბამისად, სასამართლომ უნდა განიხილოს ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი: წარმოდგენილია თუ არა უტყუარი მტკიცებულებები პირის ბრალის დასადასტურებლად და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელი. სასამართლომ დამატებით უნდა შეამოწმოს საპროცესო შეთანხმების ფორმალური შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით მოხდა სასამართლოს როლის შეფასება შესწავლილ განაჩენებში.

საქმის არსებითი განხილვის გარეშე სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების ტექსტის ანალიზიდანაც კი იკვეთება საპროცესო შეთანხმების დადებისას სასამართლოს პასიური როლი და მისი ფორმალური ხასიათი. განაჩენთა ტექსტის იდენტურობა ხაზს უსვამს სასამართლოს პასიურ როლს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენებისას. განაჩენებში აღნიშნული მსჯავრდებულის მახასიათებელი ნიშნები - მისი ოჯახური მდგომარეობა, ნასამართლობა, ასაკი, განათლება - მხოლოდ ფორმალურ მითითებას წარმოადგენს და საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინება არ ხდება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ძირითად შემთხვევებში საპროცესო შეთანხმება დადებულია სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით და მსჯავრდებულის პიროვნების ზემოხსენებული მახასიათებელი ნიშნები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სასჯელის განსაზღვრისას, რადგან აღნიშნული მახასიათებლები, შესაძლოა, სასჯელის ზომის შემცირების საფუძველს წარმოადგენდეს, უგულებელყოფილია.

სასამართლოს მიერ დამტკიცებულ საპროცესო შეთანხმებებზე განაჩენთა კვლევის შედეგად ჩნდება ეჭვი, რომ ან მსჯავრდებულები არ არიან უზრუნველყოფილი კვალიფიციური იურიდიული დახმარებით, ან ადგილი ჰქონდა მოტყუებას, როდესაც ე.წ. „ჩაშვების“ სანაცვლოდ მსჯავრდებულს ჰპირდებიან საპროცესო შეთანხმებით ნაკლები სასჯელის დანიშვნას, რადგან რეალურად სასამართლო პროცესზე მხოლოდ რამდენიმე თვით ან წლით ნაკლები სასჯელის გაფორმება ხდებოდა, ვიდრე სასამართლო საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიუსჯიდა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითად შემთხვევებში საპროცესო შეთანხმება დადებულია მართლმსაჯულების განხორციელების სისწრაფის მიზნით და, რეალურად,

9 თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელი, (გამოკითხვა), მაისი, 2013წ. თბილისი

10 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ინტერვიუ, მაისი 2013 წ. თბილისი



ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ინტერესი - სასჯელის ზომის შემცირება - უგულვებელყოფილია.

სხვადასხვა პირის მიერ სსკ-ის ერთი და იმავე მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას მათ მიმართ სასჯელის დანიშვნისას რეალურად გათვალისწინებული არ არის სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში მისაღები კრიტერიუმები, კერძოდ, ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი პიროვნება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. აღნიშნულის საფუძველს იძლევა განაჩენების შედარებითი კვლევა. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ორი პიროვნების მახასიათებელი ნიშნები იდენტურია, რომელთა საპროცესო შეთანხმება სასამართლოში წარადგინა ერთმა პროკურორმა, განხილა ერთმა მოსამართლემ, მაგრამ მიუხედავად საქმის ამგვარი მსგავსებისა, იდენტურობა არ ვრცელდება სასჯელის ზომის დანიშვნაზე. იგივე სურათი ვლინდება ჯარიმების დანიშვნისას. მისი ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება პირის ზემოხსენებული გარემოებები და ინიშნება პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმებების დამტკიცება მკაფიოდ ფორმალური ხასიათისაა. საპროცესო შეთანხმებებში ნათლად იკითხება იდენტური ტექსტები, მოსამართლეები უცვლელად და შეუსწორებლად ტოვებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობებს, საპროცესო შეთანხმებების გამოყენებისას მოსამართლეები ჯეროვნად და საფუძვლიანად არ შეისწავლიან/იკვლევენ ფორმალურ და მატერიალურ წინაპირობებს.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში მხოლოდ ფორმალურად მიუთითებს, რომ ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს საპროცესო შეთანხმების არსი და რომ მასზე არ განხორციელებულა ზეწოლა. სასამართლო რეალურად არ მსჯელობს, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას რამდენად კანონის დაცვით მიმდინარეობდა თავად საპროცესო შეთანხმების დადების პროცესი, იყო თუ არა კანონიერი ბრალდებულის მიმართ განხორციელებული მოქმედებები, ხომ არ ჰქონდა ადგილი იძულებისა თუ დაშინების სხვადასხვა ფორმების / ხერხების გამოყენებას; არ ხდება იმის დადგენა, ნამდვილად არის თუ არა განმარტებული და ნათლად ცნობილი ბრალდებულისთვის მისი უფლება-მოვალეობები.

სასამართლოს კანონით ეკისრება ვალდებულება, მოისმინოს და იმსჯელოს მეორე მხარის პოზიციასა და მოსაზრებაზე ერთი მხარის შუამდგომლობასთან დაკავშირებით. ამ მხრივ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს ვაწყდებით. კერძოდ, არცერთი განჩინება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ არ შეიცავს მსჯელობებს დაცვის მხარის პოზიციების და მისი არგუმენტებისა და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და საქმის გარემოებებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობის შესახებ. სისხლის სამართლის პროცესში დაცვის უფლების დარღვევის ტოლფას დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ბრალდებულისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების სასამართლოს სათანადო შეფასების გარეშე დატოვების შემთხვევები, დაცვის მხარის არგუმენტების გაუთვალისწინებლობა და მათ შესახებ მიღებულ განჩინებებში სათანადო დასაბუთების არარსებობა. კონკრეტულ შემთხვევებში საპროცესო შეთანხმებების დადება/დამტკიცება ხდებოდა მართმსაჯულების განხორციელების სისწრაფის მიზნით და ამით რეალურად უხეშად ილახებოდა ბრალდებულის ინტერესები სასჯელის ზომისა და სიმძიმის მის მიერ დანაშაულთან, მის პიროვნებასთან, ოჯახურ მდგომარეობასთან და სხვა გარემოებებთან შეუსაბამობის თვალსაზრისით.

საპროცესო შეთანხმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოებს არა აქვთ შემუშავებული საპროცესო შეთანხმებების განხილვის ერთიანი, ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც გამოიწვევდა, ერთი და იმავე დანაშაულისათვის ბრალდებული პირების მიმართ იდენტური

დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას მიღწეულიყო მსგავსი პირობების შემცველი საპროცესო შეთანხმებები. აღნიშნულთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა, შემუშავებულიყო ერთიანი პრაქტიკა, რომელიც გამორიცხავდა მსგავს საქმეებზე, მსჯავრდებულების პიროვნებების მახასიათებელი ნიშნების მსგავსების შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების დადებისას ესოდენ განსხვავებული სასჯელის ზომის გამოყენებას. რადგან გაურკვეველი და დაუსაბუთებელია სასამართლოს დამოკიდებულება ერთი და იმავე სახის დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ სხვადასხვა/განსხვავებული ზომისა და სიმძიმის სასჯელების განსაზღვრა, განაჩენებში არ ჩანს, რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია მოსამართლემ, რომ შუამდგომლობით გათვალისწინებული სასჯელის ზომა შეეფერება პირისთვის ბრალად წარდგენილ დანაშაულს, მის პიროვნებას, ბრალდებულის სოციალურ, ოჯახურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც სავსებით სამართლიანად ქმნის უსამართლობის განცდას. სამწუხაროდ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების მთავარ სახელმძღვანელოდ გვევლინება პროკურორის მიერ ოფიციალურად მოთხოვნილი შუამდგომლობის ფარგლები.

## 5.2 საპროცესო შეთანხმების გამოყენების თავისებურებები საქართველოში

საპროცესო შეთანხმების კანონმდებლობის ეტაპობრივი ცვლა პრაქტიკაშიც აისახა. საპროცესო შეთანხმების განაჩენების ანალიზმა შესაძლებელი გახადა პრაქტიკის თავისებურებების აღმოჩენა და შესწავლა. პრაქტიკის გაცნობის შედეგად რამდენიმე საყურადღებო საკითხი გამოიკვეთა, მათ შორის:

- მტკიცების სტანდარტის პრობლემა;
- სასამართლო პრაქტიკის განვითარების შეფერხება;
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა მექანიზმების იგნორირება.

შესწავლილი განაჩენების უმრავლესობაში სასამართლო არაფერს ამბობს წარმოდგენილი მტკიცებულებების სანდოობასთან დაკავშირებით. საპროცესო შეთანხმება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების სასამართლო განხილვის დროს მტკიცებულებები ვერ იქნება გამოკვლეული კანონით დადგენილი წესით. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, კანონმდებლობა მოსამართლეს ავალდებულებს, შეამოწმოს შუამდგომლობის დასაბუთებულობა. ასევე, სსსკ-ის 213-ე მუხლი მოსამართლეს აკისრებს ვალდებულებას, დარწმუნდეს წარმოდგენილი მტკიცებულებების უტყუარობაში. ჯგუფის მიერ შესწავლილი განაჩენების უმეტესობაში სასამართლო მხოლოდ ჩამოთვლის იმ მტკიცებულებებს, რომლებიც, სასამართლოს შეფასებით, ბრალდებულის აღიარებასთან ერთად ადასტურებს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში სასამართლო უთითებს: „სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეზე არსებულ მტკიცებულებათა შეკრება და საპროცესო დამაგრება განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და ასაბუთებენ ბრალდებულის [სახელი და გვარი] მიმართ წარდგენილ ბრალდებას“<sup>11</sup>. ბუნებრივია, წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლო შეზოჭილია საკუთარი უფლებამოსილებებით, რომელსაც მას საპროცესო კანონმდებლობა განუსაზღვრავს. ზოგადად, მტკიცებულებათა გამოკვლევის დადგენილი წესებიდან გამომდინარე, სასამართლოს უფლებამოსილებები შემოსაზღვრულია მხარეთა შუამდგომლობებით, რომლებსაც ის მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით განიხილავს. ამისგან განსხვავებით, სსსკ-ის XXI თავში არანაირი მითითება არ არის მტკიცებულებათა უტყუარობის დადგენის მექანიზმებთან დაკავშირებით. თუკი მხარე სადავოდ არ ხდის წარდგენილ მტკიცებულებას (საპროცესო შეთანხმების სასამართლოში განხილვის ეტაპზე, დიდი ალბათობით, საქმეთა უმეტესობა სწორედ ასეთი იქნება), მაშინ

<sup>11</sup> გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 იანვრის განაჩენი, საქმე #1-27/12

გაუგებარია, როგორ უნდა დარწმუნდეს სასამართლო წარდგენილი შუამდგომლობის დასაბუთებულობასა და მტკიცებულებათა უტყუარობაში. განაჩენთა ანალიზი აღნიშნულ კითხვაზე პასუხს ვერ იძლევა. შედეგად, ბუნდოვანი რჩება, რა გზით უზრუნველყოფს პრაქტიკაში სასამართლო მასზე სსსკ-ის 213-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

ამას გარდა, კანონმდებლობის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობა, რაც გულისხმობს იმგვარი მტკიცებულებების ერთობლიობას, რომლებიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. რაც შეეხება საქმის საპროცესო შეთანხმებით დასრულებას, რაც დროსაც ასევე დგება გამამტყუნებელი განაჩენი, კანონმდებლობის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებები პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს განაჩენი არსებითი განხილვის გარეშე. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ადარ უთითებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე, რაც გულისხმობს, რომ მტკიცების ყველაზე მაღალი სტანდარტი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ამ შემთხვევაში რელევანტური არ არის. სსსკ-ის 211-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე პროკურორის მიერ სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს „მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა“. დასაბუთებული ვარაუდი ბრალის წაყენებისთვის, საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის დადგენილი სტანდარტია. ცხადია, მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობა, რომელიც პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით მხოლოდ დასაბუთებულ ვარაუდს წარმოშობს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის არასაკმარისი საფუძველია. შესწავლილი განაჩენები სასამართლოების განსხვავებულ პრაქტიკაზე მიუთითებს. ცალკეულ განაჩენებში აღნიშნულია, რომ „მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული“<sup>12</sup>. თუმცა განაჩენთა ნაწილში არ არის არანაირი მითითება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე და შემოიფარგლება ფრაზით, რომ მოპოვებული მტკიცებულებები ადასტურებს ბრალდებულის მიმართ წარდგენილ ბრალდებას.<sup>13</sup>

ბუნებრივია, საპროცესო შეთანხმების გაფორმება ასევე გულისხმობს რიგი ფუნდამენტური უფლებების გამოყენებაზე უარის თქმასაც, მათ შორის მოწმის სასამართლოში დაკითხვის, მხარეთა შეჯიბრებითობის ეფექტური განხორციელების და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გამორიცხვას, რასაც მსგავსი პროცესი ვერ უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ საპროცესო შეთანხმებით საქმის დასრულება, შედეგის გარდა, პროცესუალური თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავდება სტანდარტული სასამართლო განხილვისგან. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დადებისას დაცვის აღნიშნული პროცედურული გარანტიებით სარგებლობის გარეშე (ჯვარედინი დაკითხვა და ა. შ.) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილების შესაძლებლობა ბუნდოვანია.

საპროცესო შეთანხმებების გამოყენების მასობრივი ხასიათი გვამძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის საქმეების დიდი ნაწილი სწორედ ფუნდამენტური პროცესუალური უფლებების რეალიზაციის გარეშე მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო აღნიშნულ საქმეებში საპროცესო შეთანხმებების გაფორმებით. სრულყოფილ პროცესუალურ ელემენტებს კი მხოლოდ გამონაკლისის ხასიათი ჰქონდა, ძირითად პროცესად კი არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის მექანიზმი იქცა. ჯგუფის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ განაჩენში სასამართლო უთითებს: „ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა მის მიერ, გარდა ბრალდებულის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული აღიარებითი ჩვენებისა, უტყუარად არის დადასტურებული საქმეში არსებული ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ნივთის ამოღების ოქმით, ნივთის ამოცნობის ოქმით, დაზარალებული

12 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის განაჩენი, საქმე #1/246-11

13 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის განაჩენი, საქმე #1/18

{სახელი და გვარი} ჩვენებით ... და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით<sup>14</sup>. სხვა განაჩენში კი მითითებულია, რომ „განსასჯელის {სახელი და გვარი} მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება დადასტურებულია თვით განსასჯელის {სახელი და გვარი} აღიარებითი ჩვენებით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ცნობით, ..... ტრანსსოლოგიურ-ტექნიკური ექსპერტიზის N709/ა დასკვნით, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის N929/24 დასკვნით...“<sup>15</sup>. წარმოდგენილი მტკიცებულებები ერთმანეთისგან მნიშვნელობით და ხარისხით განსხვავდება. ნაწილი უშუალოდ ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელია, ზოგი მტკიცებულება არაპირდაპირი ხასიათისაა და ადასტურებს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებას. ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნებს აღწერილობითი დატვირთვა აქვს, თუმცა სასამართლოს ევალება, სამართლებრივად შეაფასოს ისინი.

სსსკ-ის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. შესაბამისად მტკიცებულებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება მიიჩნეოდეს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებლად. წარმოდგენილ განაჩენებში სასამართლოს არ მიუთითებია, თუ რა ფაქტი დასტურდება კონკრეტული მტკიცებულებებით. ზოგადად, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის პრობლემებზე მოცემული თავის დასაწყისში იყო ლაპარაკი. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგანაც ზოგადად საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების საერთო მახასიათებლის კარგი ილუსტრაციაა.

საპროცესო შეთანხმების მექანიზმზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს ეკუთვნის. სწორედ მოსამართლე უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდებულის საზიანო და უსამართლო პირობებით არ დაიდოს. სამუშაო ჯგუფის მიერ განაჩენთა ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ სასამართლოებს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვთ წარდგენილი მტკიცებულებების სანდოობის, კანონიერებისა და შეფარდებული ძირითადი თუ დამატებითი სასჯელის სამართლიანობის შეფასების თვალსაზრისით. რიგ შემთხვევებში, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის შეფარდების დროს სასამართლო საერთოდ არ მსჯელობდა ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობაზე და შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ მოთხოვნილი სასჯელი სამართლიანია.<sup>16</sup> ამ ტიპის საქმეებში ლეგიტიმურად ჩნდება შეკითხვები, ასრულებდა თუ არა სასამართლო ბრალდებულთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიის როლს.

უნდა აღინიშნოს სასამართლო პრაქტიკის განვითარების პრობლემაც. სისხლის სამართლის საქმეების უდიდეს უმრავლესობაში საპროცესო შეთანხმების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა პრეცედენტული სამართლის განვითარება. პრობლემურ შემთხვევებში არ არსებობს სათანადო მნიშვნელობის სასამართლო გადაწყვეტილებები. აღნიშნულმა პრობლემამ წარმოდგენილი კვლევის პროცესშიც იჩინა თავი. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები იდენტურ შემთხვევებში განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებენ. სუსტია ერთგვაროვანი პრაქტიკის მაგალითები და არ იკვეთება ერთიანი სტანდარტი, რაც, ბუნებრივია, ხელს არ უწყობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებას. საპროცესო შეთანხმებების შაბლონურობამ სწორედ განზოგადებული პრაქტიკის არსებობას შეუქმნა მწვავედ საფრთხე.

საპროცესო შეთანხმების გამოყენების თავისებურებას წარმოადგენს ამ მექანიზმით ყველა სხვა ინსტიტუტის ჩანაცვლება. დანაშაულთა სახეების მიხედვით გამოყენებული საპროცესო შეთანხმებების ანალიზმა, რომლის შედეგებიც კვლევის დასაწყისშია წარმოდგენილი, ნათელი გახადა, რომ ბრალმდებელი საპროცესო შეთანხმების მექანიზმის გამოყენებას ითხოვს ნებისმიერი ტიპის დანაშაულთან დაკავშირებით, იქნება ეს ნაკლებად მძიმე, მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, ისევე როგორც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული

14 გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 იანვრის განაჩენი, საქმე #1-27/12

15 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განაჩენი, საქმე #1/4890-08

16 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, საქმე # 1/853-12

დანაშაულები თუ ფინანსური დანაშაულები. უმეტეს შემთხვევაში გაუგებარია, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს პროკურორი, განსაკუთრებით მაშინ, როცა შუამდგომლობს განსაკუთრებით მძიმე სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთან საპროცესო შეთანხმების დადებისას. ასეთ შემთხვევებში, სამუშაო ჯგუფისთვის რთული იყო, დაენახა მართლმსაჯულების სწრაფი განხორციელების საჯარო ინტერესი.

მძიმე და ძალადობრივი დანაშაულების გარდა, სამუშაო ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახდა ისეთი განაჩენებიც, რომლებიც შეეხებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ნაკლებად მძიმე დანაშაულებს. ზოგ შემთხვევაში მიყენებული ზიანი მცირე მნიშვნელობისაა, ბრალდებული არ არის ნასამართლავი და დანაშაული არ ჩაუდენია დამამძიმებელ გარემოებებში. კერძოდ, ერთ-ერთი განაჩენის მიხედვით, რომელიც ეხებოდა ქურდობის შემთხვევას, დანაშაულის ობიექტს წარმოადგენდა ლითონის სავარძელი. გამოძიების ინფორმაციით, ქმედების ჩამდენმა პირმა ხსენებული ნივთი 3 ლარად გაასხვისა, თავად დაზარალებულს კი მიადგა 50 ლარის ზიანი.<sup>17</sup> პროკურორმა ამ შემთხვევაშიც საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე იშუამდგომლა, რაც სასამართლომ დაამტკიცა.

სსკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებას“. მოცემული დებულება, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, მიუთითებს განსაკუთრებით მცირე მნიშვნელობის დანაშაულების მიმართ ნაკლებად მკაცრი მიდგომის აუცილებლობაზე. ამასთან ერთად, პროკურორი, სსსკ-ის თანახმად, სარგებლობს დისკრეციული დევნის უფლებამოსილებით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ამ ტიპის საქმეებში უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე ან/და მიმართოს დევნის ალტერნატიულ ღონისძიებებს.

ბოლო წლებში საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით გაჩნდა პირის განრიდების შესაძლებლობა, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. განრიდების მექანიზმი პროკურორს აძლევს შესაძლებლობას, დანაშაულის სიმძიმის, პიროვნების ხასიათის, მიყენებული ზიანისა თუ სხვა საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების საფუძველზე მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება და რიგ შემთხვევებში უარი თქვას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გამოყენებაზე.

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებები ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომის საპირწონედ შეიქმნა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციას ემსახურება. თავდაპირველად განრიდება ეხებოდა მხოლოდ არასრულწლოვან ბრალდებულებს. დღეისათვის განრიდების მექანიზმი განსხვავებული ფორმით სრულწლოვნების შემთხვევაშიც მოქმედებს. აღნიშნული ინსტიტუტი გულისხმობს ბრალდებულსა და პროკურორს შორის გარიგების დადებას. გაფორმებული შეთანხმებით, ბრალდებული იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და, საპასუხოდ, მის წინააღმდეგ არ დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი. მოვალეობების შესრულება უზრუნველყოფილია პროკურორის მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესაძლებლობით.

განრიდებისგან განსხვავებით, საპროცესო შეთანხმების დადება იმთავითვე გულისხმობს პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას. პირი, რომელიც საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკებას ბრალდებულის სტატუსით იწყებს, შეთანხმების წარმატებით დადების შემთხვევაში ავტომატურად ხდება მსჯავრდებული და მისი, როგორც დამნაშავის, მიმართ დგება გამამტყუნებელი განაჩენი.

<sup>17</sup> გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 იანვრის განაჩენი, საქმე #1-27/12

რაც შეეხება განრიდებას, მისი გამოყენების დროს სახელმწიფო კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მიმართ მიდგომას ცვლის. პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ნაცვლად გარიგების მხარე ხდება. განრიდებული ვალდებულია, შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით სათანადოდ შეასრულოს ნაკისრი მოვალეობები. სანაცვლოდ, მის მიმართ არ დგება გამამტყუნებელი განაჩენი და მას არ გააჩნია ნასამართლობა.

სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ განაჩენებში იკვეთებოდა შემთხვევები, როცა ადგილი ჰქონდა მცირე მნიშვნელობის სისხლისსამართლებრივ გადაცდომებს. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც, პროკურატურის მოთხოვნით, სასამართლო ამტკიცებდა საპროცესო შეთანხმებას. საპროცესო შეთანხმების პირობების მიუხედავად, განრიდებისგან განსხვავებით, საპროცესო შეთანხმება ბრალდებულისთვის წარმოშობს ისეთ კონკრეტულ ნეგატიურ სამართლებრივ შედეგებს, როგორებიცაა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, ნასამართლობა, სოციალური სტიგმა და სხვა. განრიდების ხელშეკრულება კი სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა და არ იწვევს ნასამართლობას. ამ მექანიზმებს შორის ერთ-ერთი ფუნდამენტური სხვაობა სწორედ ამაში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში, სამუშაო ჯგუფისთვის უცნაურ პრეცედენტებს წარმოადგენდა იმ ტიპის განაჩენები, რომლებიც შეეხებოდა მცირე მნიშვნელობის დანაშაულს და ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებისა თუ წარსულის მიუხედავად, ნაცვლად დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებისა, ადგილი ჰქონდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ნათლად გამოჩნდა საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და ის თავისებურებები, რითაც ეს მექანიზმი ქართულ მართლმსაჯულებაში დამკვიდრდა. სამუშაო ჯგუფის მიზანი არ ყოფილა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების და საპროცესო შეთანხმების პირობების გაანალიზება. მიზანი იყო პრაქტიკისა და საინტერესო პრეცედენტების კვლევა, რამაც აჩვენა კიდევ საპროცესო შეთანხმების საინტერესო სახესხვაობა საქართველოში.

## 6. საპროცესო შეთანხმების გამოყენება არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ

სამუშაო ჯგუფმა ასევე გამოითხოვა 2012 წლის იანვრისა და დეკემბრის თვეებში არასრულწლოვან პირთა მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებები. შედეგად მიღებულ იქნა 33 განაჩენი. მიღებული განაჩენებიდან მხოლოდ 9 საპროცესო შეთანხმება გაფორმდა დამატებითი სასჯელის - ჯარიმის - დაკისრების გარეშე. აღნიშნული განაჩენებიდან ჯარიმის მინიმალურ ოდენობად განსაზღვრულია 490 ლარი, ხოლო მაქსიმალური ჯარიმის ოდენობა 15 000 ლარია.<sup>18</sup>

### <sup>18</sup> დაკისრებული ჯარიმის ოდენობები:


- **490 ლარი** გამოყენებულ იქნა მხოლოდ ერთხელ სსკ-ის 238(I) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე;
- **500 ლარი** გამოყენებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიის შემთხვევაზე; (სსკ-ის 19,177-(I-II))
- **1500 ლარი** დააკისრეს ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიაზე, კერძოდ სსკ-ის 238(II)-ზე;
- **2000-ლარიანი** ჯარიმა გამოყენებულია აღნიშნული განაჩენებიდან მხოლოდ 2-ჯერ, 178(II-III) ; 177-(II-II)
- **3000 ლარი**, როგორც ჯარიმის სახე, სასამართლომ გამოიყენა 5-ჯერ, 118(I), 186-(II), 186(II), 238(I), და 178(I), მუხლებით ჩადენილ დანაშაულებზე;
- **4000-ლარიანი** ჯარიმა კი მხოლოდ 2-ჯერ იქნა გამოყენებული და ორივე შემთხვევაში 177მუხლის (II და III) ნაწილია მითითებული;
- **5000 ლარი** ჯარიმა 6-ჯერ იქნა გამოყენებული 177(II), 19, 177(III), 177(III),177(III), 236(I), 260(I), გათვალისწინებულ დანაშაულთა კატეგორიებზე.
- **7000 ლარი** კი სასამართლოს მიერ დაკისრებულ იქნა სსკ-ის 239(II) და 260 (II) ნაწილით განსაზღვრულ დანაშაულებზე;
- **15000 ლარიანი** ჯარიმა კი მხოლოდ ერთ დანაშაულზე ფიქსირდება, რომელიც 260 მუხლის (I) ნაწილით არის გათვალისწინებული;



## 6.1 დანაშაულის კატეგორიები სასამართლოს მიერ დამტკიცებულ საპროცესო შეთანხმებებში

არასრულწლოვან პირთა მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებების კვლევიდან მკაფიოდ ჩანს, რომ სასამართლოს მიერ არ ხდება სასამართლო განხილვის ეტაპზე პროკურორის მიერ წარდგენილი შეთანხმების პირობების განხილვა, შეფასება, სასჯელის კანონიერებისა და სამართლიანობის ადეკვატურად შეფასება. არცერთი განაჩენი არ შეიცავს რაიმე მითითებასაც კი იმასთან დაკავშირებით, შეისწავლა თუ არა სასამართლომ არასრულწლოვანის მიმართ სსკ-ის 89-ე მუხლში მითითებული გარემოებები, კერძოდ, სამართალდამრღვევი არასრულწლოვანის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა, რაც კანონის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს.

**არასრულწლოვან ბრალდებულთა 33 განხილულ საქმეზე სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებების განაჩენიდან**



აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადად იკვეთება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი პირების მიმართ საჭიროა სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაშიც მნიშვნელოვანია პროკურორის პოზიცია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომები, განრიდებისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პროგრამები.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი მექანიზმია, ეს მექანიზმი არის არასრულწლოვანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი. არასრულწლოვანთა დანაშაულისაგან განრიდების პროგრამა გულისხმობს იმას, რომ პროკურორმა არ დაიწყოს ან შეწყვიტოს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად მთავრი როლი პროკურორს ეკისრება, მასზეა დამოკიდებული, გამოიყენოს თუ არა არასრულწლოვანის მიმართ განრიდების პროგრამა, მასვე უნდა ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ არასრულწლოვანის „დასჯა უსამართლოა“, რის საფუძველზეც


მოხდება პროკურორსა და არასრულწლოვანს შორის ხელშეკრულების დადება შესაბამისი პუნქტებითა და მოვალეობებით.


მიუხედავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული მსგავსი შესაძლებლობისა, ჩვენ მიერ შესწავლილ განაჩენებში გამოჩნდა, რომ საპროცესო შეთანხმების გამოყენების მიზანშეწონილობის დასადგენად ადეკვატურად არ ხდებოდა ბრალდებული არასრულწლოვნების პიროვნებისა და სხვა რელევანტური ფაქტორების შესწავლა. შესწავლილ საქმეებში 30 არასრულწლოვანი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა, მაგრამ არცერთი მათგანის მიმართ არ გამოუყენებიათ განრიდება, მაშინ როცა, კანონმდებლობის მიხედვით, „თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემისაგან განრიდებას“ და, ასევე, „მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრამ არასრულწლოვანს, შესაძლოა, ზიანი უფრო მეტი მოუტანოს, ვიდრე სიკეთე“.

## 7. დასკვნა და რეკომენდაციები


საპროცესო შეთანხმების კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვის, შესწავლილი სასამართლო პრაქტიკის და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი ნორმებიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებობს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც დახვეწას მოითხოვს, თუმცა საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკის შესწავლისა და გამოკითხვების შედეგები ცხადყოფს, რომ არანაკლები პრობლემებია საპროცესო შეთანხმების გამოყენების პრაქტიკაშიც. საპროცესო შეთანხმებების ანალიზი გვამძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ, რეალურად, პროკურორის წამყვანი და მოსამართლის მეორეხარისხოვანი როლი მნიშვნელოვნად ამახინჯებს აღნიშნული ინსტიტუტის ბუნებასა და მიზნებს.


ზემოთ მითითებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებულ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ:


 გაუგებრობებისა და ბრალდებულის მოტყუების თავიდან ასაცილებლად საპროცესო შეთანხმების შეთავაზება უნდა კეთდებოდეს წერილობით პროკურორის ან ბრალდებულის მიერ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს ნაწილი, სადაც აღინიშნება, რომ პროკურორსა და ბრალდებულს შორის ადვოკატის მონაწილეობით საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით წარმოებული მოლაპარაკების დროს უნდა შედგეს ოქმი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს უნდა დაემატოს ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებული საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე თანხმობას გასცემს ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ, რაც სხვა საკითხებთან ერთად, შესაძლოა, ეხებოდეს წერილობით შეთავაზებასა და მოლაპარაკების ოქმში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების განმარტებას. ამგვარი იურიდიული კონსულტაციისათვის ბრალდებულს უნდა გამოეყოს გონივრული ვადა, რაც აითვლება საპროცესო შეთანხმების შეთავაზების ან მოლაპარაკების ოქმის შედგენიდან. თუკი შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ წინააღმდეგობაში მოდის მოლაპარაკების ოქმთან, ბრალდებულის მოტყუების არარსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურორს.


 საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს დაზარალებულთან კონსულტაციის და მისი მოსაზრებების გათვალისწინებით, თუმცა დაზარალებულს არ უნდა ჰქონდეს პროკურორის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება. დაზარალებულის მოსაზრება უნდა იყოს ერთ-ერთი, მაგრამ არა გადაწყვეტი ფაქტორი, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს პროკურორის საბოლოო


გადაწყვეტილებაზე. დაზარალებულის პოზიცია უნდა აისახოს შუამდგომლობაში. ამასთან, პროკურორს, შესაძლოა, დაეკისროს ვალდებულება, დაასაბუთოს, დაცულია თუ არა ბალანსი საპროცესო შეთანხმების გაფორმების საჯარო ინტერესსა და დაზარალებულის კერძო ინტერესს შორის, თუკი დაზარალებული უარს აცხადებს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. პროკურორის ეს დასაბუთება უნდა წარმოადგენდეს სასამართლო კონტროლის საგანს. შესაძლოა, სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა, დაზარალებულის პოზიცია მოისმინოს შუამდგომლობის განხილვისას.

 მოსამართლემ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ბრალდებულს უნდა განუმარტოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური და მინიმალური ზომა, რომლთან დაკავშირებითაც მოითხოვება განაჩენის გამოტანა არსებითი განხილვის გარეშე, ასევე, მოსამართლე ბრალდებულს აცნობებს საპროცესო შეთანხმებაში მითითებული სასჯელის ზომას და ამის შემდეგ არკვევს, აქვს თუ არა სურვილი ბრალდებულს, გააფორმოს საპროცესო შეთანხმება.

 უნდა წახალისდეს საქმის გარემოებების გათვალისწინებით დევნის ალტერნატიული ღონისძიებებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულების გამოყენება;

 კანონმდებელმა უნდა გადახედოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამონათვალს და უნდა განისაზღვროს იმ ძალადობრივ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის განზრახ დანაშაულთა წრე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან არ გააფორმდება საპროცესო შეთანხმება;

 უნდა განისაზღვროს კანონმდებლის მიერ ძირითადი და დამატებითი სასჯელის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით;

 კანონში ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს სასამართლოს უფლებამოსილება პროკურორისთვის საქმის უკან დაბრუნების, ან საქმის არსებითად განხილვის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, მიზანი და ის, თუ კონკრეტულად საქმის განხილვის რომელ სტადიაზეა ეს შესაძლებელი.